შეარჩიეთ შესაფერისი მომსახურება

აუდიტის, მიმოხილვის, კომპილაციისა და შეთანხმებული პროცედურების მომსახურებების შედარება

გამოაქვეყნა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
და აუდიტორთა ფედერაციამ

GFPAA

თქვენი კომპანია საქმიანობს ისეთ ბიზნესგარემოში, რომელიც დღითი-დღე სულ უფრო მეტად რთულდება და იცვლება. თქვენი დახმარება ბუღალტერს შეუძლია.

პროფესიონალ ბუღალტრებს, როგორც თქვენს საიმედო მრჩეველებსა და პარტნიორებს ბიზნესთან დაკავშირებულ საკითხებში, თქვენთვის შეუძლიათ სხვადასხვა სახის სპეციალიზებული მომსახურების შემოთავაზება, ობიექტური მეგზურობის გაწევა და კომპეტენტური, კვალიფიციური რჩევების მოცემა, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება თქვენი ბიზნესის ზრდისთვის, ასევე სათანადო კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების დაცვაში დახმარება.

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებულია ბევრი ისეთი მომსახურება, რომლის შემოთავაზება თქვენთვის პროფესიონალ ბუღალტრებს შეუძლიათ ზუსტად თქვენი კონკრეტული მიზნების გათვალისწინებით.

არ იცით რომელი მომსახურება არის ზუსტად თქვენთვის შესაფერისი? ამ ბუკლეტში აღწერილია სხვადასხვა ტიპის მომსახურება – აუდიტი, მიმოხილვა, კომპილაცია და შეთანხმებული პროცედურები, რომლებსაც საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრები სთავაზობენ დამკვეთებს შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად – თითოეულ მათგანს განსხვავებული სარგებლის მოტანა შეუძლია თქვენთვის.

თქვენ მიერ მოწვეულ პროფესიონალ ბუღალტერს შემდეგი ფაქტორები დაეხმარება სწორედ თქვენთვის შესაფერისი მომსახურების განსაზღვრაში:

- თქვენი კონკრეტული/სპეციფიკური მიზნები;
- შესაფერისი კანონები ან სხვა ნორმატიული აქტები;
- თქვენი სუბიექტის ზომა, სტრუქტურა და სირთულე;
- დაფინანსების მოთხოვნები; და
- სამომავლო ბიზნესგეგმები.

თქვენთვის შესაძლებელია სასრგებლო იყოს ასევე კონსულტაციების გავლა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებთან.

აუდიტი

მიმოხილვა

კომპილაცია

შეთანხმებული პროცედურები

თითოეული ტიპის მომსახურების საზღაური განსხვავებული იქნება, ვინაიდან მასზე გავლენას ახდენს ზემოაღნიშნული ფაქტორები. საზღაურის ოდენობის შეფასება განხილული იქნება თქვენს პროფესიონალ ბუღალტერთან ერთად და აისახება იურიდიულად სათანადო წესების დაცვით გაფორმებულ გარიგების წერილში.

მნიშვნელოვანი განსხვავებები აუდიტის, მიმოხილვის, კომპილაციისა და შეთანხმებული პროცედურების გარიგებებს შორის:

გარიგების ტიპი			
აუდიტი	მიმოხილვა	კომპილაცია	შეთანხმებული პროცედურები
სტანდარტები			
ასს	მისს 2400 (გადასინჯული)	დასს 4410 (გადასინჯული)	დასს 4400
რწმუნება			
დასაბუთებული	შეზღუდული	არანაირი	არანაირი
სამუშაო			
რისკის შეფასება და აუდიტორული პროცედურები, რომლებიც განკუთვნილია გამოვლენილ რისკებზე რეაგირებისთვის.	წინასწარი გამოკითხვა და ანალიზური პროცედურები.	ხელმძღვანელობის დახმარება ფინანსური ინფორმაციის მომზადებაში.	მტკიცებულებების მოპოვება ფაქტობრივი მონაცემების განსამტკიცებლად.
ანგარიში (დასკვნა)			
მოსაზრება (დადებითი რწმუნება)	დასკვნა (უარყოფითი რწმუნება)	ანგარიშში აღწერილია კომპილაციური გარიგების ხასიათი და პრაქტიკოსის როლი და პასუხისმგებლოებები (არანაირი რწმუნება)	ანგარიშის შეზღუდული გამოყენება (ანგარიშის შედგენა ფაქტობრივი მონაცემების შესახებ)

აუდიტი

რა არის აუდიტი?

თქვენ მიერ მოწვეული პროფესიონალი ბუღალტერი (აუდიტორი) შეადგენს ანგარიშს (დასკვნას), რომელიც მოიცავს მის მოსაზრებას (ხშირად უწოდებენ სუფთა აუდიტორულ მოსაზრებას) იმის შესახებ, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია თუ არა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად.

თუ ასე არ არის, აუდიტორის მოსაზრება მოდიფიცირდება, საჭიროებისამებრ.

ასს-ები (ISA®) ანუ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები თქვენს აუდიტორს ავალდებულებს სხვადასხვა აუდიტორული პროცედურის ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ამგვარი მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად მაღალი, მაგრამ არა აბსოლუტური დონის რწმუნებით.

როდის არის აუდიტის ჩატარება შესაფერისი?

- კანონმდებლობა მოითხოვს აუდიტის ჩატარებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები (მაგ., ინვესტორები) მოითხოვენ რწმუნების ყველაზე მაღალ დონეს, რომლის მოპოვებაც პროფესიონალ ბუღალტერს შეუძლია;
- გარე მომხმარებლები (მაგალითად კრედიტორები ან ბანკები) ან გარემოებები (მაგ., როდესაც ემზადებით ბიზნესის/ სუბიექტის გაყიდვისთვის) მოითხოვს აუდიტის ჩატარების საჭიროებას, რწმუნების გასაცემად ფინანსური ანგარიშგების შესახებ.

რა სარგებლობა მოაქვს აუდიტს?

- აუდიტი ამაღლებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის სანდოობას.
- შესაძლებელია გამოვლინდეს შიდა კონტროლის ნაკლოვანებები/ სუსტი მხარეები, რაც ხელს შეუწყობს ბიზნესის რისკების გამოვლენას/ შეცნობას და აუდიტორისგან მიიღებთ სათანადო რეკომენდაციებს შიდა კონტროლის გაუმჯობესების გზების შესახებ.
- შესაძლებელია უზუსტობებიც გამოვლინდეს (თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული), რომელთა გადაჭრა და გასწორება თქვენ (სუბიექტს) შეგიძლიათ.

მიმოხილვა

რა არის მიმოხილვა?

თქვენ მიერ მოწვეული პროფესიონალი ბუღალტერი ატარებს გამოკითხვებსა და ანალიზურ პროცედურებს (რომლებიც არ არის აუდიტორული პროცედურები) თავისი დასკვნის განსამტკიცებლად იმის შესახებ, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია თუ არა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად. თქვენი ბუღალტერი პროცედურებს ატარებს შეზღუდული რწმუნების მისაღებად იმის თაობაზე, მათთვის ცნობილი გახდა თუ არა რაიმე ისეთი საკითხი, რომლის გავლენით ფინანსური ანგარიშგება შესაძლოა იყოს არსებითად მცდარი.

როდის არის მიმოხილვის ჩატარება შესაფერისი?

- სუბიექტი გათავისუფლებულია სავალდებულო აუდიტის ჩატარების მოთხოვნისგან, მაგრამ მომხმარებლები, როგორიცაა აქციონერები, მოითხოვენ გარკვეული ფორმის რწმუნების მიღებას ფინანსური ანგარიშგების შესახებ.
- იგი განამტკიცებს ხელმძღვანელობის მიერ ჩატარებულ, საქმიანობის შიდა მიმოხილვას, თამაშობს რა დამატებითი კონტროლის როლს.
- შეზღუდული რწმუნების მიღება შესაძლებელია ჯგუფში შემავალი მცირე ზომის შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგების შესახებ.
- ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის ჩატარება აუცილებელია საკანონმდებლო ან სახელშეკრულებო ვალდებულებების შესასრულებლად.

რა სარგებლობა მოაქვს მიმოხილვას?

- მიმოხილვას შეუძლია მზარდი საწარმოს მომზადება აუდიტის ჩატარებაზე გადასვლისთვის.
- შეიძლება დაგეხმაროთ დაფინანსების მოპოვებაში, ან სასარგებლო იყოს, როდესაც ემზადებით ბიზნესის/სუბიექტის გაყიდვისთვის, ან ახალ ინვესტორებს ეძებთ.
- იგი მოქნილია და მიზანმიმართული – თქვენ მიერ მოწვეულ პროფესიონალ ბუღალტერს შეუძლია ყურადღების კონცენტრაცია დროზე და მნიშვნელოვან საკითხებზე, თქვენი ფინანსური ანგარიშგების სირთულისა და ბიზნესის სპეციფიკის შესაბამისად.
- თქვენ მიერ მოწვეულ პროფესიონალ ბუღალტერს ანგარიშში ინფორმაციის წარმოდგენა ევალება ნებისმიერ საკითხზე, რომლის ცოდნა, მისი პროფესიული განსჯით, საკმაოდ მნიშვნელოვანია ხელმძღვანელობისთვის.

კომპილაცია

რა არის კომპილაცია?



თქვენ მიერ მოწვეული პროფესიონალი ბუღალტერი იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებასთან, ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენასთან დაკავშირებული საკითხების ცოდნასა და გამოცდილებას, რათა დაეხმაროს ხელმძღვანელობას ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და წარდგენაში ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების მოთხოვნების დაცვით. კომპილაციური გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, მაგრამ გარე მომხმარებლები (მაგალითად, გამსესხებლები, სადაზღვევო კომპანიები ან სუბიექტის მომხმარებლები) ხშირად დიდად აფასებენ პროფესიონალი ბუღალტრის მონაწილეობას ფინანსური ინფორმაციის მომზადებაში.

როდის არის კომპილაცია შესაფერისი?

- შესაძლებელია, ხელმძღვანელობას არ ჰქონდეს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და ამჯობინოს გარედან მოწვეული პროფესიონალი ბუღალტრის დახმარება.
- მომხმარებლებს შეიძლება ესაჭიროებოდეთ იმის ცოდნა, რომ ფინანსური ანგარიშგეის მომზადებასა და წარდგენაში მონაწილეობდა პროფესიონალი ბუღალტერი.
- ხელმძღვანელობა ფინანსური ანგარიშგების შესახებ ანგარიშს მოითხოვს შიდა მიზნებისთვის, ხოლო გარე მომხმარებლები არ არსებობს.

რა სარგებლობა მოაქვს კომპილაციას?

- თქვენს მიერ მოწვეული პროფესიონალი ბუღალტერი შეგნებულად ვერ დაუკავშირდება ისეთ დოკუმენტებს, ანგარიშებს ან სხვა ინფორმაციას, რომელიც არსებითად მცდარია, ყალბია და შეცდომაში შემყვანია.
- ხელმძღვანელობამ ამგვარი დახმარებიდან შესაძლოა დიდი სარგებელი მიიღოს, როდესაც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებს და ტექნიკურ საკითხებს აგვარებს.
- თქვენ მიერ მოწვეულ პროფესიონალ ბუღალტერს ანგარიშში ინფორმაციის წარმოდგენა ევალება ნებისმიერ საკითხზე, რომლის ცოდნა, მისი პროფესიული განსჯით, საკმაოდ მნიშვნელოვანია ხელმძღვანელობისთვის.

შეთანხმებული პროცედურები

რა სახის მომსახურებაა შეთანხმებული პროცედურები?



თქვენს მიერ მოწვეული პროფესიონალი ბუღალტერი ატარებს მხოლოდ ზუსტად განსაზღვრულ პროცედურებს, რომლებიც თქვენთან იქნება შეთანხმებული წინასწარ და შემდეგ ფინანსური ინფორმაციის შესახებ შეადგენს ანაგრიშს, გამოვლენილი ფაქტების გათვალისწინებით – ბუღალტერი არანაირ რწმუნებას არ მოიპოვებს და არც არანაირ დასკვნას ან მოსაზრებას წარმოადგენს თავის ანგარიშში. ეს ანგარიში არ გამოქვეყნდება – მას მხოლოდ ის მხარეები გამოიყენებენ, რომლებთანაც შეთანხმდა პროცედურები. ბუღალტერი ზუსტ პროცედურებს თქვენთან ერთად განიხილავს და შეათანხმებს და შესაძლებელია, მხოლოდ ისეთ სფეროებზე იყოს მიმართული, რომლებიც, თქვენი აზრით, ყველაზე მეტ სარგებელს მოგიტანთ.

როდის არის შესაფერისი შეთანხმებული პროცედურების ჩატარება?

- ხელმძღვანელობას ყურადღების კონცენტრაცია სურს ფინანსური ინფორმაციის კონკრეტულ სფეროებზე, გარე მომხმარებლებების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, როგორიცაა, მაგალითად მარაგის ნაშთის სისწორის შემოწმება, მოთხოვნების ანგარიშების ნაშთების დადასტურება, ფულადი სახსრების ნაშთების შემოწმება, ან გრანტის სახსრების სათანადოდ გამოყენების შემოწმება/მიმოხილვა.
- ხელმძღვანელობას დახმარება ესაჭიროება გარკვეული ინფორმაციის მომზადებაში, რომლის გამჟღავნებაც სათანადო სტანდარტებით მოითხოვება.

რა სარგებლობა მოაქვს შეთანხმებულ პროცედურებს?

- ეს მომსახურება მეტად მოქნილია, რადგან შესაძლებელია მისი მორგება სავსებით განსხვავებულ გარემოებებზე და ფინანსური მონაცემების ცალკეული ელემენტების მიმართ გამოყენება.
- მომხმარებლები შესაძლოა მოითხოვდნენ გარკვეული სამუშაოს შესრულებას, ასევე მოთხოვნილი ანგარიშის სპეციფიკური ფორმატით მომზადებას.
- შესაძლებელია ინფორმაციის მიღება ფინანსური ანგარიშგების შესადგენად განკუთვნილი პროცესებისა და შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტიანი ფუნქციონირების ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ.
- შეთანხმებული პროცედურების შესახებ მომზადებული წლიური ანგარიში შეიძლება დაერთოს ფინანსურ ანგარიშგებას დანართის/დამატების სახით, რაც აამაღლებს ხელმძღვანელობისა და პერსონალის მიმართ სანდოობას.
- მისი მეშვეობით შესაძლებელია დაფინანსების ან ცალკეული მომწოდებლების სპეციფიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრები ვალდებულნი არიან დაიცვან უმაღლესი ხარისხის ეთიკური სტანდარტები. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრ ორგანიზაციებს ევალებათ ისეთი დონის ეთიკის სტანდარტების მიღება და დანერგვა, რომლებიც არ იქნება ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) მიერ გამოცემული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის ნორმებზე ნაკლებად მკაცრი.

IFAC (ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია) თავის თავზე არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას ან ვალდებულებას, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ამ ბუკლეტის გამოყენებამ. სხვების მიერ IFAC-ის საავტორო უფლებებით დაცული მასალის გამოყენება არანაირად არ ნიშნავს იმას, რომ IFAC მხარს უჭერს ან რეკლამას უკეთებს რომელიმე შესაბამის მომსახურებას.

© 2016 წ. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია (IFAC). ყველა უფლება დაცულია.

წინამდებარე ნაშრომი „შეარჩიეთ შესაფერისი მომსახურება: აუდიტის, მიმოხილვის, კომპილაციისა და შეთანხმებული პროცედურების მომსახურებების შედარება“, რომელიც 2016 წლის სექტემბერში ინგლისურ ენაზე გამოსცა International Federation of Accountants, ქართულ ენაზე თარგმნა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციამ (ბაფი) 2018 წლის სექტემბერში და გამოიცემა IFAC-ის ნებართვით. IFAC-ის მიერ გამოცემული ყველა ნაშრომის დამტკიცებულ ტექსტად მიიჩნევა IFAC-ის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული ტექსტი. IFAC თავის თავზე არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე, ან ქმედებებზე, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ამ მასალის გამოყენებამ.

„შეარჩიეთ შესაფერისი მომსახურება: აუდიტის, მიმოხილვის, კომპილაციისა და შეთანხმებული პროცედურების მომსახურებების შედარება“, ინგლისურენოვანი ტექსტი © 2016 წ. IFAC. ყველა უფლება დაცულია.

„შეარჩიეთ შესაფერისი მომსახურება: აუდიტის, მიმოხილვის, კომპილაციისა და შეთანხმებული პროცედურების მომსახურებების შედარება“, ქართულენოვანი ტექსტი © 2018 წ. IFAC. ყველა უფლება დაცულია.

ორიგინალური ვერსიის სახელწოდება: „Choosing the Right Service: Comparing Audit, Review, Compilation, and Agreed-Upon Procedure Services”, 2016 წლის სექტემბერი.

ამ დოკუმენტის რეპროდუცირების, შენახვის ან გადაცემის, ან სხვა ანალოგიური წესით გამოყენების ნებართვის მისაღებად მიმართეთ IFAC-ის ვებგვერდს Permissions@ifac.org

IFAC International Federation of Accountants®